**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

---

# ლეჩხუმური დიალექტი

ლეჩხუმური დიალექტი, საქართველოს ეთნოგრაფიული კუთხის – ლეჩხუმის – მცხოვრებთა მეტყველება.

ლ. დ. კილოკავურად ერთიანია და თუ რაიმე დიფერენციაცია შეიმჩნევა, ეს აიხსნება მომიჯნავე კილოთა თუ ენათა გავლენით. მომიჯნავე კილოები რაჭული და იმერულია, მომიჯნავე ენები – სვანური და ზანური.

ლ. დ-ში დასტურდება ჲ, უ¤, š, s გვხვდება: ა) ა → ე დაბოლოების მქონე სახელებთან ნათ. და მოქმ. ბრუნვაში: ბიცოლეჲს, ბიცოლეჲთ; ბ) კონტამინირებულ ფორმებთან სახ. ბრუნვაში: დედა//დედე დედაჲე; უ¤ დასტურდება: ა) თანხმოვნის მომდევნო ხმოვნის წინ: ყუ¤ა; ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის წინ: ბეუ¤რი; š დამოწმებულია მავრცობი – ე ხმოვნის პოზიციაში: კაცსე//კაცსš; სპორადულად ისმის გრძელი ხმოვანი, მიღებული ორი ხმოვნის შერწყმით: მერე → მეე → მე ĕ.

ლ. დ-ში ფართოდაა წარმოდგენილი ფონეტ. მოვლენები; აე → ეე; ბიძაები →ბიძეები; ოე→ეე: ჩამოეკიდა → ჩამეეკიდა; აი, ოი → ეი: ბიცოლაი → ბიცოლეი → ბიცოლე; აუ → ოუ: შინაური → შინოური; ეუ → ოუ: აპეური → აპოური და სხვ.; ვე → ო ფართოდაა გავრცელებული ყველა პოზიციაში: სჩვევია → სჩოვია; თავკიდური ო ხმოვნის წინ ვითარდება ვ//უ¤: ორი →ვორი.

გვხვდება თანხმოვანთა როგორც რეგრესული (საევს → საფსე), ასევე პროგრესული (წახდება → წახთება) ასიმილაციის შემთხვევები; თანხმოვანთა დისიმილაცია (არაფერი → არაფელი, სულელი → სუნელი). ხშირია ბგერათა დაკარგვა და ჩართვა (ხშირად ერთი და

იმავე ბგერისა ერთსა და იმავე პოზიციაში). სისტემურად იკარგება ს: ეს კაცი → ე კაცი, არის → არი.

ლ. დ-თვის ერთ-ერთი ნიშანდობლივი ფონეტიკური მოვლენაა სუბსტიტუცია: მალავ → მალამ, ყავს → ყამს, თევზი → თებზი, ბურღი → ბულღი, საქონელი → სახონელი.

ხშირად იცვლება სწ კომპლექსი: ნასწავლი → ნასტავლი, სწორი → სტორი. ბგერათშენაცვლების ერთ-ერთი გავრცელებული სახეობაა აფრიკატიზაცია: მოხარშავს → მოხარჩამს.

სახ. ბრუნვაში ა ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები = ი ნიშანს არ დაირთავენ, მაგრამ მისი კვალი მაინც ჩანს: ტომარე (← ტომარეი ← ტომარაᲘ). ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ერთ ან ორმარცვლიან სახელებს შესაძლოა დაერთოს ი ბრუნვის ნიშანი: კტეი, ურეი. თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ორმარცვლიან საკუთარ სახელებში = ი სახ. ბრუნვის ნიშანი ფუძისეულად გაიაზრება: ვახტანგიმ, მაგრამ გვაქვს საპირისპიროც: აკაკი – აკაკმა.

უთანდებულო მიცემითი გამოიყენება ლოკატივის დანიშნულებით: ჩამევიდა ლაილაშ. ასევე ლოკატივს გამოხატავს ნანათესაობითარი მიცემითი: მეზობლისას. ნათ. და მოქმ. ბრუნვებში ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები, ჩვეულებრივ, არ იკვეცება და არც ბრუნვის ნიშანი რედუცირდება: ქვაის//ქვაᲘს, ქვაით//ქვაᲘთ. ვით. ბრუნვის ნიშნად გვაქვს -ად → -ათ (||- დ → თ), -ა (სწორა). წოდ. ბრუნვაში გვაქვს – ო (დავითო, მარიამო).

თანდებულთაგან ნიშანდობლივია -კე ← -კენ: ლეჩხუმისკე; -თვინ ← -თვის: ქალისთვინ; -გან თანდებულიანი მოქმედებითი გვხვდება სამი სახით: ოჯახითგან // ოჯახიდგან // ოჯახიდან.

ლ. დ-ში სახელის მრ. რიცხვის მაწარმოებელია -ებ, შეინიშნება და-ნ-ი, ძმა-ნ-ი ტიპის მრავლობითიც.

II სუბიექტ. და III ობიექტ. პირები მეტ-ნაკლებად დაცულია ჰ- || ს- ნიშნით: სჭამ, სთხოვ. ზმნის ფუძისეული თანხმოვანი ფონეტიკურად ცვლის ნიშანს: ჰყავს → ხავს; ზოგჯერ ჰ- ფონეტიკურად ცვლის ფუძისეულ თანხმოვანს: მოჰპარა → მოფარა, ჰკითხა → ქითხა.

მრ. რიცხვში III სუბიექტ. პირის ნიშანია -ენ; წერენ, წერდ-ენ, გათბ-ენ, გარდამავალ ზმნათა აორისტში – -ეს: დაწერ-ეს, კავშირებითში – -ნ: წერდე -ნ.

მრავლობითის აღსანიშნავად ლ. დ-ში გამოიყენება -ყე და არიენ || ლარიენ. -ყე გამოხატავს: ა) ირ. ობიექტის მრავლობითობას: ის მათ უფუჭებდა-ყე; ბ) პირდაპ. ობიექტის მრავლობითობას: მე დავტოვე-ყე; გ) რეალური სუბიექტის მრავლობითობას: ის მათ ხავს-ყე (ჰყავთ); დ) ზოგჯერ რეალური ობიექტის მრავლობითობას: ვენახები გვაყვე ← გვაქვს-ყე ← არიენ; ლარიენ: ისინი დგანლარიენ || დგილარიენ; მას ყავლარიენ; დაწოლილარიენ, ნაცემლარიენ.

-ავ თემის ნიშანი დაერთვის წარმოშობით უთემისნიშნო ზმნებს: წერ-ავ-ს. I სერიაში ფართოდ გამოიყენება მიმღეობის ფუძისაგან -ობ თემის ნიშნით ნაწარმოები ფორმები: სროულობს → სროულოფს.

ლ. დ-თვის დამახასიათებელია IV სერიის ფორმათა პოვნიერება: ნაპარავა, ნაპარავიყო.

შეუზღუდავად იწარმოება ნასახელარი ზმნები: სახურავი → მოასახურავეფს. ქვე || ქე გვხვდება დადასტურებითი მნიშვნელობით. სპეციფიკური მოვლენაა -სე ნაწილაკ-მორფემოიდის პოვნიერება. იგი დაერთვის ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებსა და ზმნებს: დაეჭირა კაცი-სე, იკითხა-სე. სახელდების პრინციპის თვალსაზრისით საინტერესოა მცენარეთა სახელწოდებანი, ნაწარმოები მო – ო კონფიქსით: მოჭარხლუა// მოჭარხლუე.

ლ. დ. ყურადღებას იქცევს მდიდარი დარგობრივი ლექსიკით. მრავლადაა ზანიზმები: რაგადობს – ლაყბობს, ძღაბი – გოგო; სვანიზმები – მექვი (სვ. მექ) – თივის ბულული, მოღავი (სვ. მოღა) – ჭირნახული.

*ლიტ.*: ლეჩხუმური დიალექტის ლექსიკონი, თბ., 2019; ძ ი ძ ი გ უ რ ი შ., ლეჩხუმური დიალექტი, თბ., 1956; ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ქართული დიალექტოლოგია, წგ. 1, თბ., 1989.

***რ. ლანდია***